10. საქარე მინის დაზიანების შემთხვევაში გამონაკლისის სახით ზარალი უნდა ანაზღაურედეს მხოლოდ შეტყობინების საფუძველზე.

პრეტენდენტის ხელმოწერა ———————————————— / /

ბ.ა. ხელმომწერის სახელი და გვარი

რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

პრეტენდენტის დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი

იურიდიული მისამართი

ფაქტობრივი მისამართი

ოფისის ტელეფონი

მობილური ტელეფონი

ფაქსი

E-mail

ხელმძღვანელის სახელი გვარი

ხელმძღვანელის პირადი N

მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი

ანგარიშის ნომერი

პრეტენდენტის ხელმოწერა ———————————— / /

ბ.ა. ხელმომწერის სახელი და გვარი

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (მათ შორის პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირების წინაშე) ხელშეკრულების პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ***შპს „საქართველოს მელიორაცია“*** *(შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6 და მეორეს მხრივ ———————————— (შემდგომში მიმწოდებელი) მისი ———————————— სახით,*

_____

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც „მხარეები'', ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. პრეამბულა

1. მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის გაცემა ხდება ამ პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. სადაზღვევო პოლისის გაცემის მიზანია დამზღვევის მიერ სადაზღვევო გარანტიის შეძენა იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც გამოწვეულია წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევების დადგომით.
3. სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ტერმინთა განმარტება

2.1 მიმწოდებელი ანუ მზღვეველი – _____, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და გადასცემს დამზღვევს სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის პოლისს.
2.2 შემსყიდველი ანუ დამზღვევი – შპს საქართველოს მელიორაცია, რომელიც ამ პირობებით და კანონმდებლობის მიხედვით, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებას აზღვევს მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას.
2.3 შემსყიდველი ანუ დაზღვეული – შპს საქართველოს მელიორაცია, რომლის მიმართაც ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა და მასამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა.
2.4 შემსყიდველი ანუ მოსარგებლე – შპს საქართველოს მელიორაცია, რომელიც ამ პირობების თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას ან/და თავისუფლდება მესამე პირების წინაშე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.
2.5 სადაზღვევო პოლისი – დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.6 ფრანშიზა – სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს.
2.7 საბალანსო ღირებულება _ სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომენტისათვის არსებული (ნარჩენი) საბალანსო ღირებულება.
2.8 სადაზღვევო ღირებულება – სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულება.
2.9 სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა ან მომსახურება, რომელიც მზღვეველისაგან ეკუთვნის დამზღვევს წინამდებარე პირობების საფუძველზე.
2.10 სადაზღვევო პრემია – თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის საფასურად – დაზღვევის ღირებულება. პრემია ანგარიშდება დაზღვევის კონკრეტული ობიექტის, რისკებისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. პრემიის ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, მისი დანართებითა და შესაბამისი პოლისით.
2.11 სადაზღვევო ტარიფი – სადაზღვევო პრემიის სიდიდე გამოხატული პროცენტულად სადაზღვევო თანხიდან. სადაზღვევო ტარიფი დამოკიდებულია დაზღვევის კონკრეტული ობიექტის მახასიათებლებზე, რისკებსა და სხვა შესაბამის ფაქტორებზე. ტარიფის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პოლისით.
2.12 შემთხვევა – წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რისკებით გამოწვეული გარემოება.
2.13 სადაზღვევო შემთხვევა – შემთხვევა, რომლის დადგომისას წინამდებარე პირობები ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას და რომელიც დასტურდება მზღვეველის მიერ შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით.

2.14 ქურდობა; ძარცვა; ყაჩაღობა – განიმარტება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.
2.15 უბედური შემთხვევა – შემთხვევა, როდესაც ზიანი მიადგა ზიანის დადგომის დროს დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაში მყოფი პირ(ებ)ის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.
2.16 მესამე პირის წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობა – დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონებისათვის სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანისათვის (ეს პირობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ზიანის დადგომის მომენტისათვის იმყოფებოდნენ დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებაში, მათთვის მიყენებული ზიანი განიხილება, როგორც უბედური შემთხვევა).
2.17 ფორს-მაჟორი
ა) ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
ბ) ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
გ) ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

3. დაზღვევის ობიექტი

3.1 დაზღვევის ობიექტია: სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც დამზღვევის სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის განაცხადის საფუძველზე, გათვალისწინებულია მზღვეველის მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისით და რომელსაც დამზღვევი (დაზღვეული) მართლზომიერად ფლობს, სარგებლობს ან მინდობილ საკუთრებაში აქვს მიღებული.
3.2 დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებებზე, სადაზღვევო რისკებზე, ტერიტორიაზე, ვადებზე, წინამდებარე პირობებით, პოლისით და ხელშეკრულების დანართი N4-ში მოცემული გამონაკლისების გათვალისწინებით.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულებით დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართ N2-ში.

4. სადაზღვევო რისკები

4.1 დაზღვევა ხორციელდება ხელშეკრულების დანართი N3-ში მოცემული პირობებისა და შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან:
4.1.1 გარეგანი დაზიანება
4.1.2 სატრანსპორტო საშუალების; ქურდობა, ძარცვა ან/და ყაჩაღობა ან/და ვანდალიზმი;
4.1.3 ავტოსაგზაო შემთხვევა;
4.1.4 ხანძარი, მეხის დაცემა ან/და აფეთქება;
4.1.5 მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება;
4.1.6 სხვადასხვა საგნის დაცემა;
4.1.7 სტიქიური უბედურებები (მათ შორის: მიწისძვრა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, გრიგალი, ქარიშხალი, ღვარცოფი, მეწყერი, სეტყვა);
4.1.8 წინამდებარე რისკებით გამოწვეული სატრანსპორტო საშუალებების ან/და მისი ნაწილ(ებ)ის, აქსესუარების დაზიანება-ქურდობა ან განადგურება;
4.1.9 მესამე პირის წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობა (მესამე მხარისადმი მიყენებული ზიანი)
4.1.10 სრული განადგურება.

5. დაზღვევის ტერიტორია

5.1 დაზღვევის ტერიტორიაა საქართველოს რესპუბლიკა (გარდა ოკუპირებული ზონებისა), აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და თურქეთის რესპუბლიკა.

6. სადაზღვევო თანხები, სადაზღვევო პრემია

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 175 000.00 (ასსამოცდათხუთმეტიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

6.2 წლიური სადაზღვევო ტარიფი დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებებისათვის განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით და N1 დანართით. სადაზღვევო თანხები და პრემიის ოდენობა დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებებისათვის განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით და N2 დანართით. გადახდის ვადები დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებებისათვის განისაზღვრება დანართი N1-ით.

6.3 მხარეები თანხმდებიან, რომ დაზღვევა უპირობოდ დაიწყება 2017 წლის 15 იანვრის 00:00 საათიდან მიუხედავად იმისა გადაცემულია თუ არა სადაზღვევო პოლისები შემსყიდველისათვის.

6.4 სადაზღვევო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს სატრანსპორტო საშუალებების საბალანსო ღირებულებას.

6.5 დამზღვევი სადაზღვევო პრემიას იხდის ეტაპობრივად, ყოველი 3 (სამი) თვის ბოლოს, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი გაფორმდება მზღვეველის მიერ ფაქტობრივად დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და დაზღვევის ფაქტობრივი დღეების რაოდენობის შესაბამისად.

6.7 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს მელიორაციის“ ---- სამსახურის თანამშრომლები.

6.8 აღნიშნული დაზღვევის ფარგლებში ფრანშიზის ოდენობა შეადგენს 0%-ს, ზარალი ანაზღაურდება მთლიანად.

7. დაზღვევის განხორციელების წესი

7.1 დაზღვევის განსახორციელებლად დამზღვევმა მზღვეველს უნდა წარუდგინოს:

7.1.1 სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობის ასლები.

7.2 დამზღვევის მიერ იმავე ინტერესის სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში დაზღვევა (ორმაგი დაზღვევა) უნდა შეთანხმდეს მზღვეველთან. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისაგან.

7.3 სადაზღვევო პოლისის დაკარგვისა და/ან განადგურების შემთხვევაში დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე მზღვეველის მიერ დაუყოვნებლივ გაიცემა მისი დუბლიკატი.

8. დაზღვევის მოქმედების ვადები

8.1 დაზღვევის ვადა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით და აღინიშნება სადაზღვევო პოლისში.

8.2 დაზღვევის მოქმედება იწყება 2017 წლის 15 იანვრის 00:01 საათიდან და სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს 00:00 საათზე.

9. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

9.1 დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია:

9.1.1 გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ხელშეკრულების 6.5. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

9.1.2 აცნობოს მზღვეველს სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით სხვა სადაზღვევო ორგანიზაციაში გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ.

9.1.3 სადაზღვევო პოლისის მისაღებად წარუდგინოს მზღვეველს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია.

9.1.4 მიიღოს მიზანშეწონილი და გონივრული ზომები იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი.

9.1.5 დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პირობებში ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ, კერძოდ: სხვა პირისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა, რომლის დროსაც დაზღვევა ვრცელდება იგივე პირობით.

9.1.6 შემთხვევის დადგომისას, მზღვეველთან შეთანხმებით, შეინარჩუნოს დაზიანებული/განადგურებული სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობა მზღვეველის მიერ მის დათვალიერებამდე.

9.1.7 შემთხვევის დადგომისთანავე განაცხადოს შემთხვევის ფაქტზე კომპეტენტურ ორგანოებში (საგანგებო სიტუაციების სამსახური - 112).

9.1.8 წარუდგინოს მზღვეველს ზიანის ოდენობისა და სხვა მონაცემების განსაზღვრისათვის აუცილებელი ყველა არსებული დოკუმენტი და მასალა.

9.1.9 დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (გამოძახება დათვალიერების ჩასატარებლად, გამოძიება, გამოძახება სასამართლოში და სხვ.) დაწყება დამდგარი შემთხვევის ფაქტზე.

9.1.10 დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მესამე პირისაგან ოფიციალური პრეტენზიის მიღების შესახებ.

9.1.11 არ აღიაროს საკუთარი პასუხისმგებლობა და არ გასცეს პირობა ზიანის კომპენსაციაზე მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოიხსნას ნაკისრი პასუხიმგებლობა.
9.1.12 ხელი შეუწყოს მზღვეველს რეგრესის უფლების გამოყენებაში, მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მას სათანადო დოკუმენტაცია და უფლებამოსილებანი, დათმოს მოთხოვნის უფლება და ა. შ.
9.1.13 წინამდებარე პირობებითა და სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას მზღვეველს წარუდგინოს:
ა) წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;
ბ) სადაზღვევო პოლისის და მისი დანართის შესაბამისი ფურცლის დამზღვევის ბეჭდით დამოწმებული ასლი, რომელიც მხარეთა შეთანხმებით გათანაბრებულია სადაზღვევო პოლისის დედანთან;
ც) სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო მოწმობის ასლი;
დ) მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;
ე) მძღოლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (პასპორტი).
ვ) დამატებით წარსადგენი დოკუმენტების პირობა განისაზღვება ხელშეკრულების დანართი N5-ით.
9.1.14 თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ გატაცებული (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) სატრანსპორტო საშუალება ნაპოვნი იქნება, დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია, გადასცეს იგი მზღვეველს საკუთრებაში კანონით დადგენილი წესით. დამზღვევის მიერ მზღვეველზე სატრანსპორტო საშუალება გადაიცემა სატრანსპორტო საშუალების პოვნისა და მისი დამზღვევისათვის დაბრუნებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სატრანსპორტო საშუალების მზღვეველზე გადაფორმების ხარჯებს იღებს სადაზღვევო კომპანია.
9.2 დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია:
9.2.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებითა და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად სხვადასხვა ფორმით, მათ შორის დაზიანებული ავტროსატრანსპორტო საშუალების შეკეთებისა და მისი აღდგენის გზით, ასევე სრული განადგურების და/ან ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის შემთხვევაში.
9.2.2 მზღვეველთან წერილობითი შეთანხმებით შეცვალოს დაზღვევის პირობები.
9.2.3 მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება იმ ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც აქვს საექსპერტო შეფასების უფლება.
9.2.4 მიიღოს ანაზღაურება და ამ მიზნით განახორციელოს მოქმედებები დანართი N5-ის „ზარალის დადგომის შემდეგი ინსტრუქციები“-ს შესაბამისად.
9.3 მზღვეველი ვალდებულია:
9.3.1 გააცნოს დამზღვევს სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის პირობები.
9.3.2 დაზღვევის დამადასტურებლად გასცეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.
9.3.3 კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა არ გაამჟღავნოს მონაცემები დამზღვევსა (დაზღვეულსა) და მის ქონებრივ მდგომარეობაზე, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის სადაზღვევო ურთიერთობების წარმოშობისას.
9.3.4 შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი სატრანსპორტო საშუალების დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად.
9.3.5 მიიღოს და განიხილოს დამზღვევის განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ.
9.3.6 დანართი N5-ით განსაზღვრული სქემისა და ვადების შესაბამისად უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის მოძიება და დამზღვევისათვის ინფორმაციის მიწოდება სადაზღვევო კომპანიაში დამატებით წარსადგენი დოკუმენტების შესახებ.
9.3.7 წინამდებარე ხელშეკრულების 9.3.6. პუნქტში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენისა და ზარალის შესახებ განაცხადის შევსების შედგენიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში დანართი N5-ში მოცემული სქემის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ და აღნიშნული ამავე ვადაში აცნობოს „დამზღვევს“.
9.3.8 ზარალის ანაზღურებისას იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N5-ით (ზარალის დადგომისას სამოქმედო ინსტრუქციების და ზარალის ანაზღაურების პირობების სქემა) დადგენილი სქემის, ვადებისა და პირობების შესაბამისად.
9.3.9 მესამე პირთა წინაშე დაზღვეული პასუხისმგებლობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მზღვეველის მიერ სადაზღვევო აქტის შედგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
9.4 მზღვეველი უფლებამოსილია:
9.4.1 გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში.
9.4.2 დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალებები.
9.4.3 დამზღვევის დასწრებით (თუ ეს შესაძლებელია), შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტი.
9.4.4 სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებისას შეაკეთოს დაზიანებული ნაწილები, თუ ისინი ექვემდებარება აღდგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეცვალოს ახლით.

9.4.5 სატრანსპორტო საშუალებების დაზიანების გამო ანაზღაურების გაცემისას დამზღვევისაგან მოითხოვოს მზღვეველის მიერ შეცვლილი ნაწილების, ხოლო განადგურებული სატრანსპორტო საშუალებისათვის ანაზღაურების გაცემისას – თავად განადგურებული სატრანსპორტო საშუალების გადაცემა მზღვეველის საკუთრებაში.
9.4.6 დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის) თანხმობით, მისი სახელით თავის თავზე აიღოს მისი უფლებების დაცვა ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში და მიიღოს სათანადო დოკუმენტაცია და უფლებამოსილება.
9.4.7 დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებების სხვა პირისათვის გადანდობისას (გადაცემისას), დამდგარი შემთხვევა განიხილოს, როგორც სადაზღვევო შემთხვევა, მხოლოდ მაშინ როდესაც დამზღვევი ყოველი ასეთი გადანდობის შესაძლებლობის შესახებ, გადანდობამდე შეატყობინებს მზღვეველს.

10. ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

10.1 სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვევის ყველა საჭირო მონაცემის განსაზღვრის შემდეგ, კერძოდ:
ა) სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და ზიანის ოდენობის დადგენა;
ბ) ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრა.
10.2 სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის თითოეულ ობიექტზე სადაზღვევო თანხის ფარგლებში.
10.3 სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებისას ზიანის ოდენობა ანგარიშდება დანართი N5-ით განსაზღვრული პიობებისა და ვადების შესაბამისად. ზიანის ოდენობაში შეიტანება აგრეთვე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც მან მზღვეველთან შეთანხმებით გაიღო დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისათვის უახლოეს სარემონტო ადგილამდე, თუ დაზიანებულ სატრანსპორტო საშუალებებს დამოუკიდებლად მოძრაობა არ შეეძლო.
10.4 სატრანსპორტო საშუალების ქურდობის, ძარცვის ყაჩაღობის ან სრული განადგურებისას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის მიხედვით.
10.5 სატრანსპორტო საშუალების სრულ განადგურებად ითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება მისი დაზღვევის მომენტისათვის სადაზღვევო თანხად განსაზღვრული ღირებულების 60% ან მეტ პროცენტს შეადგენს.
10.6 ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა პირობით, თუ დამზღვევი გატაცებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლებას მზღვეველს გადასცემს.
10.7 ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან სრული განადგურების რისკებით დამდგარი სადაზღვევო შემთხვევით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, სადაზღვევო პოლისი, შესაბამის სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში უქმდება.
10.8 სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა: თუ დამზღვევმა არ განაცხადა მომხდარის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში, შემთხვევა კი ამას მოითხოვდა, ან შემთხვევის ფაქტი კომპეტენტური ორგანოების მიერ არ დასტურდება.
10.9 სადაზღვევო დაცვა არ ვრცელდება შემდეგზე:
10.9.1 სატრანსპორტო საშუალებების ბუნებრივი (მექანიკური) ცვეთა, გაუფასურება ან/და ისეთი შეკეთება, რომელიც აუმჯობესებს სატრანსპორტო საშუალებების ზარალის დადგომამდე არსებულ მდგომარეობას.
10.9.2 საბურავის დაზიანება, რასაც არ გამოუწვევია იმ ზიანის დადგომა, რომელზეც დაზღვევა ვრცელდება.
10.9.3 სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ნომრის გატაცება.
10.10 სატრანსპორტო საშუალებების დაზიანების, სრული განადგურების, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევაში მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევს (დაზღვეულს, მოსარგებლეს) განადგურებული სატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო თანხას, დაზღვევის მომენტისთვის განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად დანართი N5-ში მითითებული ვადების მიხედვით.
10.11 მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის გამო დაზღვეულის პასუხისმგებლობის ან უბედური შემთხვევის დადგომისათვის სადაზღვევო ანაზღაურება ანგარიშდება სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული, მზღვეველის პასუხისმგებლობის შესაბამისი ლიმიტიდან:
ა) გარდაცვალების შემთხვევაში – ანაზღაურდება პასუხისმგებლობის ლიმიტის 100%.
ბ) სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში – ანაზღაურდება სადაზღვევო ფაქტის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის მდგომარების აღდგენის ხარჯები, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურების ან/და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.
გ) ქონების დაზიანების შემთხვევაში – ზიანის ოდენობა ანგარიშდება მზღვეველის ექსპერტის მიერ შედგენილი კალკულაციის საფუძველზე.
დ) თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად რამდენიმე პირი დაზარალდა, სადაზვევო ანაზღაურება თითოეულს ცალ-ცალკე მიეცემა მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, თითოეულის დაზიანების ხარისხის პროპორციულად.
10.12 თუ ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზარალებული, მიყენებული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა, სადაზღვევო ანაზღაურება გადაანგარიშდება ადრე გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების გამოკლებით.

10.13 მზღვეველს, რომელმაც დაზარალებულს აუნაზღაურა ზიანი, უფლება აქვს დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მძღოლს (ზიანზე პასუხისმგებელ პირს) რეგრესის წესით წაუყენოს მოთხოვნა, მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

10.13.1 ზიანის განზრახ მიყენებისას.

10.13.2 სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში მართვისას.

10.13.3 მართვის უფლების გარეშე სატრანსპორტო საშუალების მართვისას.

10.13.4 მოთხოვნა რეგრესის წესით წარედგინებათ ასევე პირებს, რომლებიც არაკანონიერად ფლობდნენ სატრანსპორტო საშუალებას, აგრეთვე ტექნიკურ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ ორგანოს, თუ დადასტურდა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დათვალიერების წესების დარღვევით გატარების ფაქტი

10.13.5 ყველა სხვა შემთხვევებში (10.13.1_10.13.4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა) დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მძღოლი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება და სადაზღვევო ხელშეკრულებისა და პოლისის ფარგლებში ზიანი ანაზღაურდება მზღვეველის მიერ.

10.14. ზემო აღნიშნული პირობების გათვალისწინებით ზარალის ანაზღაურების წესი სამართლებრივად რეგულირდება დანართ N5-ში მოცემული სქემის მიხედვით.

10.15. ზარალის დადგომის შემდეგი მოქმედებების სქემა ზიანის ასანაზღაურებლად მოცემულია დანართ N5-ში.

11. რეგრესის უფლება

11.1 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს (დაზღვეულს, მოსარგებლეს) გააჩნია ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2 დამზღვევი (დაზღვეული, მოსარგებლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს მზღვეველს რეგრესული უფლების განხორციელებაში და გადასცეს ყველა ის საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია რომელიც საჭიროა გადმოსული მოთხოვნის უფლების სარეალიზაციოდ.

12. ფორს – მაჟორული გარემოება

12.1 ფორს-მაჟორის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე პირობების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან.

12.2 მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შეტყობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი, შემდგომში უნდა დამოწმდეს (დადასტურდეს) საქართველოში მოქმედი შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

12.3 თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ან მის გამო დაზღვევის აღსრულების დაყოვნებამ მხარ(ეებ)ის ინტერესის დაკარგვა გამოიწვია, მაშინ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დაზღვევის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

12.4 ფორსმაჟორულ გარემოებად განიხილება და აღნიშნული ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების 2.17 მუხლის შესაბამისად.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა

13.1. სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით.

13.2. დამზღვევი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის ხელშეკრულების 9.3.6.; 9.3.7.; 9.3.8; 9.3.9; 10.10 მუხლებით გათვალისიწნებული ვადების დარღვევის შემთხვევაში) შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე დააკისროს მზღვეველს პირგასამტეხლო თვითოეულ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს მისგან წარმოშობილი შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 10 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართლო.
14.5. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
14.6. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.
14.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.8. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

_____ _____